საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება №975

თბილისი „12" 06 2019 წ.

2019 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისა და საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩატარების განრიგის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N468 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" და „ლ" ქვეპუნქტების, „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების" მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის და „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის N227 ბრძანებით დამტკიცებული „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულების" მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე და სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2019 წლის 11 ივნისის N734047 წერილის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს:

ა) 2019 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების თარიღები:

ა.ა) 1-2 ივლისი (პირველი და მეორე სესია) - ქართული ენა და ლიტერატურა;
ა.ბ) 1 ივლისი (პირველი სესია) - აფხაზური ენა;
ა.გ) 1 ივლისი (პირველი სესია) - ოსური ენა;
ა.დ) 3-4 ივლისი (პირველი და მეორე სესია) - ზოგადი უნარები;
ა.ე) 5 ივლისი (პირველი სესია) - მათემატიკა;
ა.ვ) 5 ივლისი (მეორე სესია) - სტუდენტთა საგრანტო კონკურსი;
ა.ზ) უცხოური ენა:
ა.ზ.ა) 8-9 ივლისი (პირველი და მეორე სესია) - ინგლისური ენა;
ა.ზ.ბ) 8 ივლისი (პირველი სესია) - რუსული ენა;
ა.ზ.გ) 8 ივლისი (მეორე სესია) - გერმანული ენა;
ა.ზ.დ) 8 ივლისი (მეორე სესია) - ფრანგული ენა;

ა.თ) 10 ივლისი (მეორე სესია) - ქიმია;
ა.ი) 11 ივლისი (მეორე სესია) - ბიოლოგია;
ა.კ) 12 ივლისი (მეორე სესია) - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება;
ა.ლ) 15 ივლისი (პირველი და მეორე სესია) - ისტორია;
ა.მ) 16 ივლისი (პირველი და მეორე სესია) - გეოგრაფია;
ა.ნ) 19 ივლისი (მეორე სესია) - სამოქალაქო განათლება;
ა.ო) 22 ივლისი (პირველი სესია) - ლიტერატურა;
ა.პ) 23 ივლისი (პირველი სესია) - ფიზიკა.

ბ) 2019 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩატარების თარიღები:
ბ.ა) 17 ივლისი (მეორე სესია) - წაკითხულის გააზრება, ანალიტიკური წერა (ტესტის ტიპი - B);
ბ.ბ) 18 ივლისი (მეორე სესია) - ლოგიკური მსჯელობა, რაოდენობრივი მსჯელობა (ტესტის ტიპი - B);
ბ.გ) 22 ივლისი (მეორე სესია) - წაკითხულის გააზრება, ანალიტიკური წერა (ტესტის ტიპი - A);
ბ.დ) 23 ივლისი (პირველი სესია) - წაკითხულის გააზრება, ანალიტიკური წერა (ტესტის ტიპი - C);
ბ.ე) 23 ივლისი (მეორე სესია) - ლოგიკური მსჯელობა, რაოდენობრივი მსჯელობა (ტესტის ტიპი - A);
ბ.ვ) 24 ივლისი (პირველი სესია) - ლოგიკური მსჯელობა, რაოდენობრივი მსჯელობა (ტესტის ტიპი - C).

2. დაევალოს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6).

მიხეილ ბატიაშვილი